სიმღერა გარდახვეწილისა

ვზივარ მარტო, მოწყენილი,
მსურს ფიქრით ვივსებოდე, –
ამ ჩემს ოთახს, მარტოხელს,
მუდამ არ ვშორდებოდე,
ჩემს სამშობლოს ვიგონებ,
ნახვას ეეღირსებოდე....
ოჰ, ფრთა მომცა, ჩიტი ვიყო,
მალმალ გავფრინდებოდე
იქაურსა მწვანეზე
ნეტამც როსმე ვჯდებოდე,
ნორჩ ყვავილსა, ბუჩქებზე
ბავშვურადა ვცელქობდე,
დას ძმურად ხელს ვართმევდე,
ძმებს ყელზე ვეხვევოდე...
ოჰ, ფრთა მომცა, ჩიტი ვიყო, :
ნეტამც გავფრინდებოდე!
ჩემს ტოლს, მოძმეს, ამხანაგს
ნუთუ ვაგონდებოდე
იმ დროს, ოდეს მე მარტო
ჯავრით აქ ვხელდებოდე...
ღმერთო, ისე ნუ მომკლავ,
ძმას ძმურად არ ვრგებოდე...
ოჰ, ფრთა მომცა, ჩიტი ვიყო,
მათკენ გავფრინდებოდე
ოდეს მამულს, კეთილო,
მარად ვეკარგებოდე,
მომკალ, ნუ გეცოდები, –
არ მსურს გენაღვლებოდე!.
გამაცოცხლე, მანატრე,
თუნდ საფლავში ვდნებოდე,
აყვავებულ სამშობლოს
თუკი მოვესწრებოდე
მოიფიქრე, კეთილო,
თუ ძნელად არ ვცხოვრობდე
მაშინ, ოდეს ტურფასა
აქედან ვეტრფობოდე,
სამძიმოა, მერწმუნე,
თუნდ ეშხით ვივსებოდე...
მაშ, ფრთა მინდა, ფრთა მომეცით,

თქვენსკენ გავფრინდებოდე